WWW.CIVILIN.ORG
adm@civilin.org

თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი 2, V სართული.
2 MAY 26 SQUARE, V FLOOR, TBILISI 0171, GEORGIA.
ტელ/TEL: (995 32) 94 16 15, ფაქსი/FAX: (995 32) 33 04 17

# 2003 წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT

CIVIL SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

# სარჩევი
# CONTENTS


5 გამგეობის თავჯდომარისგან

6 მისია და მიზნები

8 სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა

10 სამართლის პროგრამა

13 სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამა

- 13 კვლევები
- 15 სამართლებლივი ცოდნის დონის ამაღლება
- 15 კონსულტაციები
- 15 ტრენინგები
- 16 ინფორმაციის გავრცელება

17 პოლიტიკის ანალიზისა და ადმინისტრირების პროგრამა

19 ეკონომიკური განვითარების პროგრამა

20 სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის გამოცემები



## თანამშრომლები

| | |
|---|---|
| ლალი ბაქრაძე | სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამის დირექტორი |
| მაია მესხი | სამართლის პროგრამის დირექტორი |
| ლიტა სურმავა | პოლიტიკის ანალიზისა და ადმინისტრირების პროგრამის კოორდინატორი |
| გურანდა რომანაძე | იურისტ-ექსპერტი |
| ნატო კეთილაძე | ფინანსური მენეჯერი |
| ნინო კეთილაძე | ოფის-მენეჯერი |
| ესმა თოთიბაძე | მოხალისე |
| ნიკო დევიძე | მოხალისე |

## STAFF

| | |
|---|---|
| LALI BAKRADZE | Civil Society Development Program Director |
| MAIA MESKHI | Legal Program Director |
| LITA SURMAVA | Public Policy and Administration Program Coordinator |
| GURANDA ROMANADZE | Legal Expert |
| NATO KETILADZE | Financial Manager |
| NINO KETILADZE | Office Manager |
| ESMA TOTIBADZE | Volunteer |
| NIKO DEVIDZE | Volunteer |



## გამგეობა

| | |
|---|---|
| ვაჟა სალამაძე | თავმჯდომარე, ეკონომისტი, საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების მაგისტრი; |
| ეკა დათუაშვილი | საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სამოქალაქო განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი; |
| ვაჟა ლალებაშვილი | აუდიტური ფირამა "აუდიტ-ცენტრის" დირექტორი; |
| დავით ლოსაბერიძე | მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის აღმასრულებელი საბჭოს წევრი; |
| იოსებ სიმონიშვილი | ასოციაცია "თავისუფალი პრესის" აღმასრულებელი დირექტორი. |

## მრჩეველთა საბჭო

| | |
|---|---|
| ლეონ აირიში | სამართლის პროფესორი, სამოქალაქო საზოგადოების სამართლის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, ვაშინგტონი |
| იუჯინ ბარდახი | პროფესორი, რიჩარდ და როდა გოლდმანების საჯარო პოლიტიკის სკოლა, ბერკლის უნივერსიტეტი, კალიფორნია |
| ქეთი მელიქაძე | საერთაშორისო განვითარების პოლიტიკის მაგისტრი, თბილისი |
| ნათია ნაცვლიშვილი | საჯარო ადმინისტრირებისა და პოლიტიკის მაგისტრი, თბილისი |
| კარლა საიმონი | სამართლის პროფესორი, კოლუმბის სახელობის სამართლის სკოლა, კათოლიკური უნივერსიტეტი, ვაშინგტონი. |

## GOVERNING BODY

| | |
|---|---|
| VAJA SALAMADZE | Chairman, Master of Public Policy and Public Administration; |
| EKA DATUAHVILI | Program Director of Centre for strategic Research and Development of Georgia; |
| VAJA LALEBASHVILI | Director of Auditing firm "Auditi"; |
| DAVID LOSABERIDZE | Executive Board member of Caucasian Institute for Peace, Democracy and Development; |
| IOSEB SIMONISHVILIE | xecutive Director of Association "Free Press". |

## ADVISORY COUNCIL

| | |
|---|---|
| LEON IRISH | J. D._Professor, Director of International Center of Civil Society Law, Washington; |
| EUGIN BARDACH | Professor, Richard and Roda Goldman School of Public Policy, University of California, Berkley; |
| KETEVAN MELIKADZE | Master of Arts in International Development Policy, Tbilisi; |
| NATIA NATSVLISHVILI | Master of Public Policy and Public Administration, Tbilisi; |
| KARLA SIMON | J. D. Professor, Columbus School of Law, Catholic University of America, Washington. Editor in chief, International Journal of Civil Society Law |



# გამგეობის თავმჯდომარისგან
# CFROM CHAIRMAN OF THE BOARD

ძვირფასო კოლეგებო,

მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრის ბოლო და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პირველი წლიური ანგარიში.

2003 წელი გარდატეხის წელი იყო ჩვენი ორგანიზაციის განვითარების ისტორიაში. 2002 წელს ორგანიზაციის საქმიანობების არეალის მკვეთრი გაფართოების გამო და მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით გამგეობამ შეიმუშავა რეორგანიზაციის ერთწლიანი გეგმა. ცვლილებების შედეგად, 2003 წლის 25 ივნისს კავშირი ბიზნეს სამართლის ცენტრი ფონდ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტად გარდაიქმნა. ამასთან, ცვლილებები შეეხო არა მარტო სახელს და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, არამედ შეიცვალა ორგანიზაციის მისია, მართვის სტრუქტურა, შიდა რეგულაციები. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ორგანიზაციის გამჭვირვალობის, საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების, მართვის დემოკრატიზაციის მიმართულებით. მკვეთრად გაიმიჯნა მმართველობითი და აღმასრულებელი რგოლების ფუნქციები, ჩამოყალიბდა მრჩეველთა საბჭო, შემუშავდა ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული გეგმა. ამ გარდაქმნებით ორგანიზაცია ინსტიტუციური განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა.

გაფართოვდა ორგანიზაციის საქმიანობის არეალიც. წამყვან მიმართულებად კვლავ რჩებოდა არასამეწარმეო სამართლის სრულყოფა. თუმცა ავტორიტარული რეჟიმის პირობებში გაცილებით აქტუალური იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მარეგულირებელი არსებული კანონმდებლობის შენარჩუნება. მნიშვნელოვან წარმატებად მიმაჩნია საანგარიშო წელს ჩვენი ინიციატივით კანონმდებლობის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა არასამთავრობო სექტორზე ხელისუფლების საკანონმდებლო შეტევების ნეიტრალიზების საქმეში. ჯგუფის აქტიური საქმიანობით დაიბლოკა ან გაუქმდა 5 სხვადასხვა ნორმატიული აქტი, რომლებიც არსებითად აუარესებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების

Dear colleagues,

I have the honor to present to you the annual report which is last for the Georgian Business Law Center and first for the Civil Society Institute.

The year 2003 was critical for the development history of our organization. In 2002, due to the drastic expansion of the scope of our activities and with the purpose of optimizing the management structure, the Board developed a one-year reorganization plan. As the result of the transformation, from 25 June 2003 the union Business Law Center was re-established as the foundation Civil Society Institute. However, the changes affected not only the title and organizational-legal form, but the organization's mission, management structure, internal regulations were also changed. Significant steps were taken towards the organizational transparency, public accountability, and democratization of management. Functions of managerial and executive units became clearly separated, the advisory board was established, and the strategic plan for the organizational development was elaborated. Through these transformations, the organization went up to a qualitatively new step of institutional development.

The scope of the organization's activities also expanded. The improvement of not-for-profit legislation still remained the leading direction. However, under the authoritarian regime, it was much more vital to maintain the existing regulatory legislation for non-governmental organizations. I find it significant success of the reported year to have initiated the legislation monitoring group that played a crucial role in neutralizing the government's legislative assault on the non-governmental sector. The active involvement of the group either blocked or abolished five different normative acts that substantially worsened the legislative environment of non-



საკანონმდებლო გარემოს ან საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მესამე სექტორის არსებობას ქვეყანაში.

წარმატებული იყო ჩვენი საქმიანობა სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებშიც. ეს პროგრამა, რომლის მართვასაც ერთობლივად ახორციელებს 6 ქართული და ერთი ამერიკული ორგანიზაცია, უნიკალურია არა მარტო მენეჯმენტის ახლი და, ჩემის აზრით, პროგრესული სტილით, არამედ თავისი კომპოზიციით და შინაარსითაც. პროგრამამ შეძლო ქვეყნის წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების მობილიზება მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მონაწილე ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარების დონის ამაღლებასაც.

ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წარმატებაა ასევე გასულ წელს საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების პროგრამის მკვეთრი აქტივიზაცია. პროგრამამ საფუძველი ჩაუყარა საჯარო პოლიტიკის ანალიზის და ადმინისტრირების საუნივერსიტეტო კურსების მომზადებას და ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში დანერგვას. ითარგმნა და გამოიცა სათანადო სახელმძღვანელოები და მეთოდური მასალები. პროგრამის ფარგლებში მომზადდა საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური მოდულები. დაგეგმილია ყოველ წელს 100 საჯარო მოხელის კვალიფიკაციის სრულყოფა. პროგრამა ითვალისწინებს ასევე ქვეყანაში საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესების ხელშეწყობას.

ორგანიზაციის მიღწევები თანამშრომელთა თავდადების და დაუღალავი შრომის შედეგია. მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს გაწეული შრომისა და საქმისადმი ერთგულებისათვის. მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ყველა დონორსა და პარტნიორ ორგანიზაციას, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორგანიზაციის გასული წლის საქმიანობაში.

ბოლოს, მინდა გზა დავულოცო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს ახალი სახელით და ახალი გეგმებით სრულიად ახალ რეალობაში. მინდა ვისურვო, რომ 2004 წელი აღმშენებლობის დასაწყისი ყოფილიყოს მთელი ქვეყნისათვის და ამ პროცესში ჩვენც ჩვენი წვლილი შევგვეტანოს.

ვაჟა სალამაძე
გამგეობის თავმჯდომარე

governmental organizations, or even questioned the existence of the third sector in the country.

Our activities within the Citizens Advocate Program were also successful. This program, which was jointly managed by six Georgian and one American organizations, is unique not only in terms of the new and, to my opinion, progressive management style but also as far as its composition and contents are concerned. The program was able to mobilize the country's leading non-governmental organizations in order to protect citizens' interests. It significantly contributed to the improvement of the institutional development level of the participating organizations as well.

Another significant success of last year is also that the organization's Public Policy and Administration Program became notably active. The program created a university course in public policy analysis and administration, which will be introduced in the country's leading institutions of higher education. Relevant textbooks and methodology materials were translated and published. Within the framework of the program, special modules of qualification training for civil servants were prepared. It is planned to annually enhance the qualification of 100 civil servants. The program also provides for support to the processes of forming the country's public policy.

The achievements of the organization came as the result of the dedicated and inexhaustible efforts of our staff. I would like to express my sincere gratitude to each one of them for their work and devotion. I would also like to thank all donors and partner organizations that have significantly contributed to the activities of our organization in the past year.

And last but not least, I would like to wish all success to the Civil Society Institute with its new name and new plans in the completely new reality. I hope that the year 2004 will be the starting point for the up-building of the whole country, where we shall also make our contribution.

VAJA SALAMADZE

# მისია

ინსტიტუტი ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, საზოგადოების განათლებით და მისი სამოქალაქო აქტიობის ამაღლებით, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისათვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნით ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და განვითარებას.

# მიზნები

- სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- საზოგადოებაში სამართალშეგნების დონის ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარება;
- სამოქალაქო საზოგადოების აქტიობის ზრდა;
- სახელმწიფო მართვის სრულყოფის ხელშეწყობა;
- საჯარო ადმინისტრირების დონის ამაღლება;
- ეფექტური საჯარო პოლიტიკის ფორმირება;
- კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შემცირება.

დასახული მიზნების მისაღწევად ორგანიზაციაში შექმნილია ოთხი პროგრამა:

სამართლის;

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების;

პოლიტიკის ანალიზისა და ადმინისტრირების;

ეკონომიკური განვითარების.

საანგარიშო პერიოდში სამართლის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამები საქმიანობას ახორციელებდნენ სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში.



# MISSION

CIVIL SOCIETY INSTITUTE FACILITATES THE FORMATION AND DEVELOPMENT OF CIVIL SOCIETY AND A DEMOCRATIC STATE BY PROMOTING DEMOCRATIC VALUES AND THE RULE OF LAW, EDUCATING SOCIAL ACTORS AND INCREASING THEIR CIVIC ACTIVITY, AND CREATING A FACILITATING LEGAL ENVIRONMENT FOR CIVIL SOCIETY ORGANIZATIONS.

# OBJECTIVES

- Fostering a legal environment conducive to the formation of a democratic state and civil society;
- Establishing the rule of law;
- Developing civil society organizations;
- Increasing civic activity;
- Improving Government;
- Crafting effective public policies;
- Improving public administration;
- Reducing corruption and the shadow economy;
- Improving business environment.

In order to attain the set objectives, the organization has created four programs:

Legal;

Civil society development;

Public policy analysis and administration;

Economic development.

During the reported period, the law program and the civil society development program operated within the Citizens Advocate program.

# სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა
## CITIZENS ADVOCATE PROGRAM (CAP)

სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა (CAP) ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

პროგრამის მიზანია საქართველოს მასშტაბით ძლიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება, საზოგადოების მობილიზება და ერთობლივი ძალისხმევით მოქალაქეთა ინტერესების დაცვის წარმატებული პრეცედენტების შექმნა.

პროგრამას ახორციელებს ექვსი ქართული ორგანიზაციისაგან (საქართველოს გაეროს ასოციაცია; ცვლილებებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრი "პარტნიორები საქართველო"; სამოქალაქო განვითარების ცენტრი "ალტერნატივა"; სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი) შემდგარი კოალიცია და ორი საერთაშორისო ორგანიზაცია - "გადავარჩინოთ ბავშვები" და არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრი.

სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამას ხელმძღვანელობს მმართველი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და მისი ქართველი პარტნიორები.

სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის მიზნებია: 1) სამოქალაქო ინტერესების დაცვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციების საშუალებით; 2) არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი გარემოს შექმნა; 3) მესამე სექტორის საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა; 4) ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა.

The Citizens Advocate Program (CAP) is implemented with the financial assistance of the United State Agency for International Development. The goal of the program is to support strong non-governmental organizations throughout Georgia, to promote cooperation between them, to mobilize the society, and to create a successful precedent of protecting citizens' interests with joint effort.

The program is implemented by a coalition of six Georgian organizations (UN Association of Georgia; Center for Changes and Conflict Management "Partners Georgia"; Civil Development Center "Alternative"; Civil Society Institute; Center for Strategic Research and Development of Georgia) and two international organizations – Save the Children and International Center for not-for-profit Law.

The CAP is managed by the steering committee that consists of the representatives of the Save the Children and its Georgian partners.

The objectives of the CAP are the following: 1) to advocate civil interests through the coalitions of non-governmental organizations; 2) To create the legal environment favorable for development of non-governmental organizations; 3) To ensure that the third sector is supported by public; 4) To facilitate the institutional strengthening of organizations.

The key components of the strategy of the CAP are the following:

- To support the advocacy campaigns that must be undertaken by coalitions of non-governmental organizations, community-based organizations, local government and business associations;



სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის სტრატეგიის მთავარი კომპონენტებია:

- ინტერესების დამცველი კამპანიების მხარდაჭერა, რომლებიც განხორციელებული უნდა იქნეს არასამთავრობო ორგანიზაციების, სათემო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ბიზნეს ასოციაციების კოალიციების მიერ;
- გრანტების გასაცემა ინტერესების დამცველი კოალიციებისათვის;
- გამარჯვებული კოალიციებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა წარმატებული ინტერესების დამცველი კამპანიის განხორციელების მისაღწევად და არასამთავრობო ორგანიზაციების მართვის ხარისხის ასამაღლებლად;
- არასამეწარმეო სექტორის განვითარების ხელშემწყობი კანონმდებლობის შექმნა და ლობირება;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა ცნობიერების ამაღლებისა და მედია კამპანიის საშუალებით;
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფა ინტერესების დაცვის რესურს ცენტრის ჩამოყალიბების გზით.

- To issue grants to advocacy coalitions;
- To provide technical assistance to the winning coalitions in order to achieve a successful advocacy campaign and in order to increase the quality of management of non-governmental organizations;
- To create and lobby the legislation supporting development of non-governmental sector;
- To facilitate the participation of citizens in public life, especially the involvement of women and youth through awareness-building and media campaigns;
- To ensure the sustainability of the program by means of establishing the advocacy resource-center.

## სამართლის პროგრამა
## MISSION AND OBJECTIVES

პროგრამის მიზანია ქვეყანაში კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების ხელშეწყობა.

საანგარიშო წელს პროგრამამ მთავარ პრიორიტეტად არასამეწარმეო კანონმდებლობის სრულყოფა დაისახა. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. კერძოდ, მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა:

- არასამეწარმეო კანონმდებლობის სრულყოფა;
- ხელისუფლების იმ საკანონმდებლო ინიციატივების ბლოკირება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საზოგადოებრივი სექტორის ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას.

არასამეწარმეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა და ლიბერალიზაცია ორგანიზაციის საწესდებო მიზანია დაარსების დღიდან. საანგარიშო წელს მომზადდა საკანონმდებლო აქტების პაკეტი, რომლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვოს დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობას და ხელი შეუწყოს ქვეყანაში ქველმოქმედების კულტურის დამკვიდრებას. პაკეტი ასევე ითვალისწინებს გრანტების შესახებ კანონმდებლობის დახვეწას, სახელმწიფო გრანტების რეგულაციას, ჰუმანიტარული დახმარების პროცესების მოწესრიგებას. ინიცირებული კანონპროექტების ლობირებისათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვაჟა სალამაძე საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ 2003 წელს, "ლობისტური საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რეგისტრირებულ იქნა ლობისტად. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ქველმოქმედების შესახებ კანონმდებლობის ლობირება საქართველოს მთავრობასთან, პარლამენტის ფრაქციებთან, კომიტეტებთან და პარლამენტის წევრებთან.

ქველმოქმედების საკანონმდებლო რეგულირების საკითხებზე მუშაობისას პროგრამა აქტიურად თანამშრომლობდა საგანმანათლებლო, თანამ-

The goal of the program is to establish the rule of law in the country, and to support the development of the rule of law-based state.

During the reported year, the improvement of not-for-profit legislation was set as the priority of the program, and significant steps have been taken in this respect. Namely, the work was undertaken in two directions:

- Improvement of not-for-profit legislation, and
- Blocking of the government's legislative initiatives that were aimed at impeding the operation of the non-governmental sector.

Improvement and liberalization of the not-for-profit legislation has been the chartered goals of the organization from the day it was founded. During the reported year, a package of legislative acts was prepared, whose purpose was to bring the Georgian legislation closer to the legislation of democratic countries, and to promote the charity culture in the country. The package also provides for improvement of grant-related legislation, governing of state grants, regulating humanitarian aid processes. In order to lobby the initiated draft laws, in 2003 the parliamentary bureau registered the chief of the organization Mr. Vazha Salamadze as a lobbyist in accordance with the Law of Georgia on Lobbying. Throughout the year, the legislation on charity was actively lobbied with the Georgian government, parliamentary factions, committees and MP's.

When working on the charity legislation, the program actively cooperated with the Education, Cooperation and Development Center, which on its



შრომლობისა და განვითარების ცენტრთან, რომელიც თავის მხრივ იკვლევს ბიზნესის დამოკიდებულებას ქველმოქმედების კულტურის მიმართ და მუშაობს ქველმოქმედების ეთიკურ სტანდარტებზე. პროგრამა მონაწილეობდა ასევე ცენტრის მიერ განხორციელებულ კვლევებში და ბიზნესის რეგულარულ წარმომადგენლებთან შეხვედრებში.

პროგრამა აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის ცვლილებების მომზადების პროცესში. აღნიშნული ცვილებებით მოწესრიგდა საქართველოში რეზიდენტი და არარეზიდენტი არასამეწარმეო იურიდიული პირების ფილიალების რეგისტრაციის საკითხი.

საანგარიშო წელს ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციებზე ზეწოლის გაძლიერების საპასუხოდ, პროგრამის ინიციატივით, 2003 წლის 30 მაისს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, შეიქმნა მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მიზანია თვალყური ადევნოს ხელისუფლების საკანონმდებლო აქტიობას და სათანადო რეაგირება მოახდინოს თითოეულ საკანონმდებლო ინიციატივასა და საკანონმდებლო აქტზე, რომელიც ლახავს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს. მონიტორინგის ჯგუფი თავდაპირველად 7 წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეიქმნა ( სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია; საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი; საქართველოს გაეროს ასოციაცია; ასოციაცია "თავისუფალი პრესა"; მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი). მოგვიანებით მემორანდუმს 23 არასამეწარმეო ორგანიზაცია შემოუერთდა. მონიტორინგის ჯგუფის აქტიური სამიანობის შედეგად ნეიტრალიზებულ იქნა ქვემოთჩამოთვლილი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას:

უშიშროების სამინისტროს ინიციატივა დაიბლოკა ორგანული კანონის პროექტი ექსტრემისტულ და უცხოურ კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანი-

part is pursuing a research on the attitude of business to the charity culture, and is working on ethical standards of charity. The program also participated in the researches undertaken by the Center, and in the regular meetings with business representatives.

The program actively cooperated with the Ministry of Justice of Georgia in the process of preparing the amendments to Article 28 of the Civil Code. These amendments settled the issue of registering branches of Georgian resident and non-resident legal entities.

Reacting to the pressure exercised by the government toward non-governmental organizations during the reported year, the program initiated the permanent monitoring group based on the Memorandum of Understanding signed on 30 May 2003. The goal of the group is to observe the legislative activities of the government, and to react in a relevant manner to each legislative initiative and legislative act, which abuses the interests of civil society. In the beginning, the monitoring group was established by seven leading non-governmental organizations (Civil Society Institute; Georgian Young Lawyers' Association; Georgian Young Economists' Association; Public Development Institute; UN Association of Georgia; Association "Free Press"; the Caucasus Institute for Peace, Democracy and Development.) Later, 23 not-for-profit organizations joined the Memorandum. The active involvement of the monitoring group neutralized the following legislative initiatives that jeopardized the existence of non-governmental organizations in the country:

The initiative of the Ministry of State Security the organic draft law on Suspending, Liquidating and Prohibiting the Activities of Organizations and Unions under Extremist and Foreign Control was blocked;

The initiative of the Pension Fund draft law on Obligatory Social Insurance, the current tax benefits

ზაციათა და გაერთიანებათა საქმიანობის შეჩე-რების, ლიკვიდაციისა და აკრძალვის შესახებ;

საპენსიო ფონდის ინიციატივა კანონპროექტი სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ, შენარჩუნებულ იქნა მოქმედი საგადასახადო შეღა-ვათები გრანტებიდან გაცემულ ანაზღაურებაზე;

მრეწველთა ფრაქციის ინიციატივა ახალი საგადა-სახადო კოდექსი, ჯგუფის მიერ აქტიური ლობი-რება იქნა გაწეული ახალი საგადასახადო კოდექსის ავტორთა ჯგუფთან მოქმედი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათების შესა-ნარჩუნებლად.

ფინანსთა მინისტრის 162 ბრძანება გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული საქონლის აღრიცხვისა და სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. ჯგუფის ინიციატივით აღნიშნული ბრძანება გასა-ჩივრდა და სასამართლომ ბათილად ცნო ბრძანების შესაბამისი მუხლები.

გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფის აქტიური ძალისხმევით უმოკლეს ვადებში აღიკვეთა საგადა-სახადო ორგანოების მიერ საქართველოს პრეზი-დენტის 326 ბრძანებულების ახლებური ინტერპრე-ტაცია, რომელის მიხედვითაც, მიღებული გრან-ტები ფინანსთა სამინისტროს სათანადო სტატუსის გარეშე საგადასახადო შეღავათების მოქმედების არეალში ვერ ხვდებოდნენ.

on remuneration paid from grants were preserved;

Initiative of the Industrialists' Faction new Tax Code; the group actively lobbied with the authors of the new Tax Code to preserve the exemptions provided under the current Code;

Order No.162 of the Minister of Finance on Approving the Instruction on Recording and Reflecting in the State Budget the Goods Received through Grants and Humanitarian Aid. Upon the initiative of the group, this Order was appealed against, and the court found the relevant articles of the Order void.

In addition to the foregoing, the active efforts of the monitoring group within the short timeframe eliminated the new interpretation of the Presidential Order No.326 by tax authorities according to which the obtained grants would not fall in the scope of tax exemptions without the relevant status of the Ministry of Finance.





სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგ-რამის მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო აქტი-ობის ზრდასა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარებას საქართველოში. პროგრამის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს არასამეწარმეო სექტორის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა, რაც გამოცემების, სასწავლო პროგრამების, კონსულტაციებისა და ინფორმაციის გავრცელების მეშვეობით არასამე-წარმეო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვი-თარების დონის ამაღლებას გულისხმობს. საან-გარიშო წელს დასახული პრიორიტეტების შესაბა-მისად პროგრამის ძალისხმევა ძირითადად მიმარ-თული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ.

## კვლევები

კვლევები მიზნად ისახავს საქართველოს არასამე-წარმეო სექტორის მარეგულირებელი სამართლებ-რივი საკითხების შესწავლას და იმ სამართლებრივი ბარიერების წარმოჩენას, რომლებიც ხელს უშლის არასამეწარმეო სექტორის განვითარებას.

გამოკვლევით მოპოვებულ ინფორმაციას არსე-ბითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საზოგადოებ-რივი ინტერესების დაცვის პროგრამით გათვალის-წინებული მესამე სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა დაზუსტებისა და კორექტირები-სათვის, არამედ ტრენინგის პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და ინფორმაციული ნაკადების მიმართულების განსაზღვრისათვის.

2002 წლის ოქტომბერ 2003 წლის იანვარი

"არასამეწარმეო ორგანიზაციების განვითარების შემაფერხებელი სამართლებრივი ბარიერები" - კვლევა ეძღვნება საქართველოში არასამეწარმეო ორგანიზაციების განვითარების შემაფერხებელი სამართლებრივი ბარიერების გამოვლენას მათი გავლენის შემდგომი შესუსტების ან ლიკვიდაციის მიზნით.

The goal of the Civil Society Development Program is to assist the growth of civic activities and development of civil society institutions in Georgia. One of the main priorities of the program is to support the further development of not-for-profit sector, which implies the increase of institutional development level of non-governmental organizations through publications, study programs, consultations and spread of information. In accordance with the priorities set in the reported year, the efforts of the program were mainly directed at legal awareness of non-governmental organizations.

## RESEARCHES

The researches are aimed at studying the legal issues governing Georgia's non-governmental sector and identifying the legal barriers that impede the development of non-governmental sector.

The information obtained through the research has crucial importance not only in terms of specifying and adjusting measures for further improvement of the legislative basis governing the third sector as provided under the CAP but also to further improve the training program and determine the directions of information flows.

October 2002 January 2003

The research "Legal Barriers Impeding the Development of non-governmental Organizations" concerns the identification of legal barriers impeding the development of non-governmental organizations with the purpose of further weakening or liquidating these barriers.

The research enabled us to draw a conclusion that Georgia's legislative basis governing non-

კვლევამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ არასამეწარმეო სექტორის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა საქართველოში ძირითადად დამაკმაყოფილებელია და ქმნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობის მინიმალურ პირობებს. ამასთან, კანონმდებლობა არათანაბრადაა განვითარებული. არის სფეროები რომლებიც ნაკლებ პრობლემებს უქმნიან ორგანიზაციებს (სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობები) და სფეროები, სადაც სერიოზული ხარვეზებია (საგადასახადო კანონმდებლობა). გამოიკვეთა, რომ 2002 წელს შეიმჩნეოდა სამართლებრივი ბაზის გაუარესების ტენდენცია.

2003 წლის სექტემბერ-ოქტომბერი

2002 წლის 28 დეკემბრის 1902 - რს საქართველოს კანონის - "საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" - მონიტორინგი.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა ახალი კანონით დარეგულირებული ურთიერთობების პრაქტიკაში დანერგვის შესწავლასა და იმ დადებითი ან უარყოფითი მხარეების წარმოჩენას, რომლებიც ხელს უწყობს ან უშლის არასამთავრობო სექტორის ფუნქციონირებას.

2003 წლის სექტემბერ-ოქტომბერი

კვლევა განხორციელდა სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში და მიზნად ისახავდა ამავე პროგრამით დაფინანსებულ 9 კოალიციაში შემავალი არასამეწარმეო ორგანიზაციების სამართლებრივი ფუნქციონირების დონის შეფასებას. მიღებულ ინფორმაციას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია მოცემული პროგრამის ფარგლებში აღნიშნული ორგანიზაციებისათვის სამართლებრივი დახმარების მოცულობის და ფორმების განსაზღვრისათვის.

შეფასებამ გვიჩვენა, რომ არასამეწარმეო ორგანიზაციათა სამართლებრივი ფუნქციონირების დონე საშუალოზე მაღალია. ამასთან, არსებული სამართლებრივი ნორმების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება ხშირად შეუძლებელი ხდება. ძირითად პრობლემას ქმნის საგადასახადო კოდექსი, რომელიც არეგულირებს დაბეგვრის, გადასახადის ადმი-

governmental sector is mainly satisfactory and does provide minimal conditions for the existence of non-governmental organizations. However, the legislation is not developed equally. There are areas that create fewer problems to the organizations (relations regulated by the Civil Code), as well as areas with serious deficiencies (taxation legislation). In 2002, the tendency of deterioration of the legislative basis was revealed.

September October 2003

Monitoring of the Law of Georgia on Amending the Civil Code of Georgia of December 28, 2002 (No.1902 RS)

This research aimed at studying the actual implementation of the relations governed by the new law and at revealing the positive or negative sides that supported and/or impeded the operation of the non-governmental sector.

September October 2003

The research was conducted within the framework of CAP and aimed at assessing the level of legal operation of nine non-governmental organizations that form the coalition funded through this program. The obtained information has substantial importance for determining the amount and forms of legal aid for the organizations in the framework of this Program.

The assessment demonstrated that the level of legal operation of non-governmental organizations is above average. However, application of the existing legal norms in daily life is often impossible. The main problem is created by the Tax Code that governs the issues of taxation, tax administration and relations with tax authorities.

## INCREASE OF LEGAL KNOWLEDGE

Since 1998, the organization has been actively



ნისტრირებისა და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებს.

## სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლება

ორგანიზაცია 1998 წლიდან აქტიურად ეხმარება არასამეწარმეო ორგანიზაციებს.

სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებისათვის გამოყენებულია რამდენიმე გზა: კონსულტაციები, ტრენინგები და ინფორმაციის გავრცელება

კონსულტაციები

ორგანიზაცია კონსულტაციებს უწევს არასამეწარმეო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს არასამეწარმეო სამართალში. კონსულტაციები ხორციელდება როგორც ტელეფონით, ასევე ოფისში მოსვლით და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით consultaions@civilin.org. ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე - www.civilin.org და სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ვებ-გვერდზე - www.advocacy.ge.

ტრენინგები

შემუშავებულია ტრენინგის პროგრამა არასამეწარმეო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისათვის, რომელიც მოიცავს ორ მოდულს:

- არასამეწარმეო ორგანიზაციის დაფუძნება და მართვა;
- არასამეწარმეო ორგანიზაციის დაბეგვრა და ანგარიშგება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამი ტრენინგი:

4 და 6 ივნისი

სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ორი ტრენინგი არასამეწარმეო სამართალში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 9 კოალიციის 35 ორგანიზაციის 40 წარმომადგენელმა.

assisting non-governmental organizations. Several ways have been used to increase legal knowledge: consultations, training and spread of information.

Consultations

The organization provides consultations in not-for-profit law to non-governmental organizations and initiative groups. Consultations are done through telephone, in the office and via e-mail. Information concerning consultations can be found in the following web-sites: www.civilin.org the organization's web-site, and www.advocacy.ge the web-site of the Civil Interests' Protection Program.

Training

Training program has been developed for non-governmental organizations and initiative groups. It consists of two modules:

- Foundation and management of non-governmental organizations;
- Taxation and reporting for non-governmental organizations.

During the reported period, three training programs were conducted:

4 and 6 June

Two training sessions in not-for-profit law were conducted within the framework of the CAP. 40 representatives of 35 organizations of nine coalitions participated in the sessions.

21 October

Training was conducted for the staff and community mobilization coordinators of Mercy Corps. Participants: 20 employees of this organization.

21 ოქტომბერი

ჩატარდა ტრენინგი "მერსი ქორის" თანამშრომლებისა და სათემო მობილიზაციის კოორდინატორებისათვის. მონაწილეობდა აღნიშნული ორგანიზაციის 20 თანამშრომელი.

ინფორმაციის გავრცელება

სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის გავრცელებას სისტემატური ხასიათი მიეცა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში. ინფორმაცია ვრცელდებოდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. თავისი ხასიათით გავრცელებული ინფორმაცია სამგვარია:

1. საკანონმდებლო ცვლილებები;
2. საკანონმდებლო ინიციატივები;
3. ორგანიზაციისა და მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობა არასამეწარმეო სამართალში.

საანგარიშო წელს ინფორმაციას ღებულობდა საქართველოს 11 ქალაქის 156 არასამეწარმეო ორგანიზაცია.

Spread of Information

Spread of legal information became systematic within the framework of the CAP. The information was disseminated via e-mail. Three types could be distinguished in the disseminated information:

1. Legislative changes;
2. Legislative initiatives;
3. Activities of the organization and monitoring group concerning not-for-profit law.

During the reported year, 165 non-governmental organizations in 11 Georgian towns were recipients of the information.



# პოლიტიკის ანალიზისა და ადმინისტრირების პროგრამა
# POLICY ANALYSIS AND ADMINISTRATION PROGRAM

პროგრამა მიმართულია ქვეყანაში საჯარო პოლიტიკის ფორმირების და ადმინისტრირების კულტურის ჩამოყალიბებასა და სრულყოფაზე. იგი მიზნად ისახავს პოლიტიკის ანალიზის უახლესი მეთოდების დანერგვასა და საჯარო სექტორში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობის ზრდას.

საჯარო პოლიტიკის ანალიზისა და ადმინისტრირების პროგრამა ფუნქციონირებს 2001 წლიდან. თავიდანვე პროგრამის პრიორიტეტებად მიიჩნეოდა სახელმწიფო მართვის რეფორმა, პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო ადმინისტრირების საუნივერსიტეტო კურსების შექმნა და დანერგვა, საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეფექტური საჯარო პოლიტიკის ფორმირების ხელშეწყობა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ორ უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პირველად დაინერგა საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსი. ითარგმნა და გამოიცა პოლიტიკის ანალიზის ერთერთი საუკეთესო სახელმძღვანელო, იუჯინ ბარდახის - "პრაქტიკული გზამკვლევი პოლიტიკის ანალიზში". ასევე გამოიცა სიტუაციური სავარჯიშოების (case studies) პირველი კრებული საჯარო პოლიტიკის ანალიზის შემსწავლელთათვის. დღეისათვის ამ სახელმძღვანელოთი ხელმძღვანელობენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ პოლიტიკის ანალიზს, როგორც ბაკალავრის ხარისხის, ასევე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

2003 წელს გამოიცა სიტუაციური სავარჯიშოების კიდევ ერთი კრებული საჯარო პოლიტიკის ანალიზის შემსწავლელთათვის. კრებული წარმოადგენს საჯარო პოლიტიკის ანალიზის საუნივერსიტეტო კურსის დამხმარე სახელმძღვანელოს. სტუდენტის ამოცანაა სავარჯიშოზე და დამატებით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაანალიზოს სიტუაცია და შეიმუშაოს პრობლემის გადაწყვეტის რეკომენდაციები.

The program is directed at establishing and improving the culture of formation and administration of public policy in the country. Its goal is to implement the most recent methods of policy analysis and to increase the efficiency of decision-making process in the public sector.

The Public Policy Analysis and Administration Program has been operating since 2001. From the very beginning, the priorities of the program were defined as government reform, development and implementation of university courses in policy analysis and public administration, continued education of civil servants, facilitation in forming efficient public policy.

Within the framework of this program, public policy analysis course has been introduced in two universities: Tbilisi State University and Georgian Technical University. One of the best policy analysis textbooks - "Practical Guide in Policy Analysis" by Eugene Bardach has been translated and published. The first case book for public policy students has also been published. At the moment, this textbook is used by the students pursuing policy analysis for their Bachelor's as well as Master's degree.

In 2003, another case book for public policy analysis students was published. The student's task is to analyze the case and develop recommendations for the problem solution based on the actual exercise and additionally obtained information.



საანგარიშო წელს პროგრამის ფარგლებში ევრაზიის ფონდის და კანადის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით დაარსდა "საჯარო პოლიტიკის ანალიზისა და ადმინისტრირების ქართული სკოლა", რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს საჯარო მოხელეებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამისათვის სკოლის ფარგლებში შემუშავდა პოლიტიკის ანალიზის და საჯარო ადმინისტრირების სპეციალური კურსები საჯარო მოხელეებისათვის. აღნიშნული კურსები პრაქტიკულად ორიენტირებული ლექციებისა და სემინარების ციკლს წარმოადგენენ. ლექციები შედგენილია სახელმწიფო მართვის თანამედროვე თეორიის და პრაქტიკის საფუძველზე. სასწავლო პროგრამა ხელს უწყობს სამინისტროებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში და ანალიტიკური უნარ-ჩვევების სრულყოფაში. თეორიული ინფორმაციის გარდა, კურსი ორიენტირებულია მსმენელთათვის პრაქტიკულ სავარჯიშოთა ნაკრების მიწოდებაზე. ლექციებზე განიხილება თემატური სიტუაციური სავარჯიშოები, რომლებიც ეხმარება მსმენელებს თეორიული კონცეფციების პრაქტიკაში გატარებაში.

2004 წელს დაგეგმილია ეკონომიკის, ფინანსთა, განათლების და გარემოს დაცვის სამინისტროების სამოცი საჯარო მოხელის კვალიფიკაციის ამაღლება. მონაწილეებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან კურსს გადაეცემათ "პოლიტიკის ანალიზისა და ადმინისტრირების ქართული სკოლის" სათანადო სერთიფიკატი.

During the reported year, within the framework of the program and with the financial support of the Eurasia Foundation and the Canadian Embassy, the Georgian School of Public Policy Analysis and Administration was established, which is intended to enhance the professional qualification of civil servants. Thus, the School developed special courses in policy analysis and public administration for civil servants. These courses are practice-oriented lectures and seminars. The courses are developed based on the modern theory and practice of public administration. The curriculum helps the civil servants employed in ministries to enhance their qualification and improve their analytical skills. Besides the theoretic information, the course is oriented at providing the attendees with a number of case studies. The lectures review topic-related case studies that help the attendees apply theoretic concepts in practice.

In 2004 it is planned to enhance qualification of 60 civil servants employed in the ministries of economy, finance, education and environment. The participants who successfully complete the course will be awarded with the certificate of the Georgian School of Public Policy Analysis and Administration.



## ეკონომიკური განვითარების პროგრამა
## ECONOMIC DEVELOPMENT PROGRAM

პროგრამა მიმართულია საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ხელშეწყობაზე. პროგრამის ძირითადი პრიორიტეტებია:

- კორუფციასთან ბრძოლა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება;
- ეკონომიკური ჟურნალისტიკის განვითარება;
- ბიზნესის გარემოს სრულყოფა.

საანგარიშო წელს ასოციაცია "თავისუფალ პრესასთან" ერთად შემუშავდა საქართველოში ეკონომიკური ჟურნალისტიკის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მედიის უზრუნველყოფას კვალიფიცირებული ჟურნალისტებით, რომელთაც ექნებათ სათანადო ცოდნა ეკონომიკის სფეროში. შემუშავდა სპეციალური საშუალოვადიანი ტრენინგ-პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყანაში ეკონომიკური მიმომხილველების დეფიციტის შემცირებაზე. 2004 წელს დაგეგმილია პროექტის განხორციელება.

The program is aimed at supporting the process of overcoming the economic crisis in Georgia. The main priorities of the program are the following:

- Fighting corruption and decreasing the scales of shady economy;
- Development of economic journalism;
- Improvement of business environment.

During the reported year, along with the Free Press Association, a long-term program for development of economic journalism in Georgia was elaborated. The program provides for supplying qualified journalists to the country's media who will have the proper knowledge in the economic area. A special mid-term training-program was developed, which will be aimed at reducing the country's shortage in economic reporters. Implementation of the program is planed in 2004.

## სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის გამოცემები
## PUBLICATION OF THE CIVIL SOCIETY INSTITUTE

სიტუაციური სავარჯიშოების კრებული საჯარო პოლიტიკის ანალიზის შემსწავლელთათვის. II ნაწილი, 2003.

კრებული მოიცავს სიტუაციურ სავარჯიშოებს, რომელიც თარგმნილია და ადაპტირებულია ქართულ სინამდვილესთან.

იუჯინ ბარდახი
პრაქტიკული გზამკვლევი პოლიტიკის ანალიზში, 2002. პირველი ქართული გამოცემა.

წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს პოლიტიკის ანალიზის სფეროში მომუშავეთათვის. მასში გადმოცემულია პრობლემათა ეფექტური მოგვარების რვასაფეხურიანი მიდგომა.

ვაჟა სალამაძე
დამხმარე მეთოდური მასალა პოლიტიკის ანალიზის კურსის სწავლებისათვის, 2002.

განკუთვნილია პოლიტიკის ანალიზის მასწავლებლებისათვის. მასში მოცემულია იუჯინ ბარდახის რვასაფეხურიანი მიდგომის სწავლების მეთოდოლოგია.

სიტუაციური სავარჯიშოების კრებული საჯარო პოლიტიკის ანალიზის შემსწავლელთათვის, 2002.

კრებული შედგება სიტუაციური სავარჯიშოებისაგან და წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსის შემსწავლელთათვის.

არაკომერციული ორგანიზაციების დაბეგვრა (რუსულ ენაზე), 2002.
შემდგენელი და პასუხისმგებელი რედაქტორი კაროლინა ნიუმანი. არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრი.

Cases in Policy Analysis. Part 2. 2003.

The book contains case studies that are translated and adjusted to the Georgian reality.

Eugene Bardach
Practical Guide in Policy Analysis. 2002 First Georgian edition.

It is a practical textbook for those engaged in policy analysis. It presents an eight-step approach to efficient solution of problems.

Vazha Salamadze
Manual for Teaching the Policy Analysis Course. 2002

It is intended for policy analysis teachers. It presents the methodology for teaching Eugene Bardach's eight-step approach.

Cases in Policy Analysis. 2002

The manual consists of case studies and is a support textbook for public policy analysis students.

Taxation of Non-Commercial Organizations (in Russian). 2002
Compiled by/responsible editor: Carolina Newman.
International Center for Not-for-profit Law.

The manual contains analytical articles and legislative acts of various countries concerning taxation of non-commercial organizations.

Unified Registry of Georgia's Unions. 2002

The registry is prepared on the basis of the requirements of the Georgian Civil Code, and includes the registration data of unions registered in Georgia as of 31 December 2001.



კრებულში მოცემულია არაკომერციული ორგანიზაციების დაბეგვრასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო აქტები და ანალიტიკური სტატიები.

საქართველოს კავშირების ერთიანი რეესტრი, 2002.

რეესტრი შედგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა საფუძველზე და მოიცავს საქართველოში რეგისტრირებული კავშირების სარეგისტრაციო მონაცემებს 2001 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

არაკომერციული ორგანიზაციების დაფინანსების იურიდიული მექანიზმები (რუსულ ენაზე), 2002.
შემდგენელი და პასუხისმგებელი რედაქტორი კაროლინა ნიუმანი, არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრი.

კრებულში მოცემულია არაკომერციული ორგანიზაციის სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების დადებითი პრაქტიკის მაგალითები. ასევე მოცემულია აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი ზოგიერთი საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი ნორმატიული აქტები.

ცნობარი არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. მეორე და მესამე გამოცემა (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე), 2001.

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ორგანიზაციის დაარსება-რეგისტრაცია, დაფინანსების წყაროები, აღრიცხვა-ანგარიშგება, დაბეგვრა, შრომითი რესურსების მართვა და ა.შ. წიგნში მოცემულია ასევე არასამეწარმეო ორგანიზაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა.

Legal Mechanisms for Funding Non-Commercial Organizations (in Russian). 2002
Compiled by/responsible editor: Carolina Newman.
International Center for Not-for-profit Law.

The manual contains examples of positive practice of state and municipal funding of non-commercial organizations. It also includes some international, national and local normative acts regulating this field.

Handbook for non-entrepreneurial, non-governmental organizations. Second and third editions (in Georgian, English and Russian). 2001

The handbook is a guide for non-governmental organizations. It covers issues such as: founding and registering the organization, sources of funding, accounting and reporting, taxation, management of human resources, etc. The handbook also includes the legislative basis governing non-governmental organization.

Legislative Manual for District Courts. 1999-2001

The manual contains the legislative acts adopted in 1999-2001. The total of 32 manuals was published.



საკანონმდებლო კრებული რაიონული სასამართლოებისათვის, 1999-2001.

კრებულში მოცემულია 1999-2001 წლებში მიღებული საკანონმდებლო აქტები. სულ გამოცემულია 32 კრებული.

კრებული ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის, 1999.

კრებული წარმოადგენს პირველ საინფორმაციო-ანალიტიკურ გამოცემას, სადაც ასახულია ანტომონოპოლიური სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

ბიზნესმენის მეგზური საქართველოს ბიზნეს კანონმდებლობაში (ქართულ და ინგლისურ ენაზე). 1998.

წარმოადგენს საცნობარო ხასიათის გამოცემას და ასახავს საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობას 1998 წლის იანვრის მდგომარეობით.

ცნობარი არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის. პირველი გამოცემა, 1997.

წარმოადგენს პირველ ქართულ სახელმძღვანელოს არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის მათი შექმნისა და დაბეგვრის საკითხებზე.

Manual for Anti-Monopoly Service. 1999

The manual is the first informational and analytical publication that demonstrates the activities undertaken by the anti-monopoly service, and provides the relevant legislative basis.

Investor's Guide in Georgian Business Legislation (in Georgian and English). 1998

It is a guidebook that consists of Georgia's entrepreneurial legislation as of January 1998.

Handbook for Non-Governmental, non-governmental Organizations. First edition. 1997

It is the first Georgian manual for non-governmental organizations concerning the issues of founding and taxing such organizations.



## 2003 წლის ბალანსი
## BALANCE SHEET FOR THE YEAR 2003

| | 2003 წლის დასაწყისში<br>OPENING BALANCE | 2003 წლის ბოლოს<br>CLOSING BALANCE |
|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები სულ:<br>CURRENT ASSENTS:** | **71627** | **79337** |
| ფულადი სახსრები<br>Cash assets | 4263 | 15444 |
| მოკლევადიანი მოთხოვნები<br>Short-term requirements | 119 | 16427 |
| გადახდილი დღგ<br>Inventories | 9157 | 12854 |
| მზა პროდუქცია<br>Prepayments | 56508 | 34497 |
| წინასწარ გაწეული ხარჯები<br>Other financial assests | 1580 | 115 |
| **გრძელვადიანი აქტივები - სულ:<br>LONG-TERM ASSESTS:** | **12722** | **17717** |
| ძირითადი საშუალებები<br>Fixsed assets | 12722 | 17717 |
| **სულ აქტივები<br>TOTAL ASSETS:** | **75192** | **84200** |
| **მიმდინარე ვალდებულებები - სულ:<br>SHORT-TERM LIABILITIES:** | **4** | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები<br>Short-term Liabilities: | 4 | |
| **კაპიტალი - სულ:<br>PRINCIPAL:** | **84345** | **97054** |
| რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება<br>Reserves and purposeful financing | 84345 | 97054 |
| **სულ აქტივები<br>TOTAL PRINCIPAL AND LIABILITIES:** | **75192** | **84200** |

## ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები
## GRANTS RECEIVED BY ORGANIZATION

| | |
|---|---|
| ფონდი "ჰორიზონტი"<br>ORIZONTI FOUNDATION | 17957$ |
| ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"<br>"Open Society - Georgia" Foundation | 5800$ |
| ამერიკის საელჩო<br>.S. EMBASSY IN GEORGIA | 31061$ |
| კანადის საელჩო<br>CANADIAN EMBASSY IN GEORGIA | 21932$ |
| ევროკავშირის დელეგაცია<br>UROPEAN UNION DELEGATION IN GEORGIA | 10917$ |
| ფრიდრიხ ებერტის ფონდი<br>RIEDRICH EBERT FOUNDATION | 1800$ |
| ფონდი "ევრაზია"<br>"EURASIA" FOUNDATION | 57669$ |
| ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი მომსახურების ინსტიტუტი<br>INSTITUTE FOR LOCAL GOVERNMENT AND PUBLIC SERVICE | 13724$ |
| არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრი<br>ფონდი "ევრაზია"<br>INTERNATIONAL CENTER FOR NOT FOR PROFIT LAW/EURASIA FOUNDATION | 27190$ |
| ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები"<br>ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო<br>SAVE THE CHILDREN FEDERATION/USAID | 130894$ |

ლიცენზია ზ № 88 28.05.2000

შპს ლიბო აუდიტი — Libo-Auditi Ltd.

200_ წლის „23" [illegible]

აუდიტური ფირმის დასკვნა

ეს დასკვნა მომზადებულია შპს „ლიბო-აუდიტის" მიერ, რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ეწევა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2000 წლის 28 მაისს გაცემული ზ № 88 ლიცენზიის საფუძველზე.

ფონდის „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" 2003 წლის წლიური ბალანსისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტი ჩაატარა აუდიტორმა ირაკლი შავიშვილმა, რომელიც ფლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2003 წლის 25 ოქტომბერს გაცემულ აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატს ზ№3/286.

წარმოდგენილი დოკუმენტების სინამდვილესა და სისრულეზე პასუხს აგებს ფონდის ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება, გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამ დოკუმენტების შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან.

ვხელმძღვანელობდით რა „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით, ჩვენ შევამოწმეთ ფონდის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების სისრულე და უტყუარობა, მოქმედ კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებთან მათი შესაბამისობა. შემოწმება ჩატარდა პირველად დოკუმენტაციაზე, დარიცხვით ოპერაციებზე, გაანგარიშებებზე და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც საფუძველზეც შედგენილია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება.

წარმოდგენილი ანგარიშგება, ჩვენი აზრით, გამჭვირვალეა, არ შეიცავს არცერთ ხარვეზს, რომელსაც შეუძლია ამ ანგარიშგებაზე რაიმე გავლენის მოხდენა. თითოეული ოპერაცია შინაარსობრივადაც და ფორმალურადაც შეესაბამება აღრიცხვის პრინციპებსა და ოპერაციის მიზნებს. ფონდის მიერ შესრულებულია ყველა ამ პერიოდში წარმოშობილი ვალდებულება სახელმწიფოსა თუ საქმიანი პარტნიორების წინაშე.

აქედან გამომდინარე, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს იმისთვის, რომ დავასკვნათ: წარმოდგენილი ანგარიშგება უტყუარად ასახავს ფონდის „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" ფინანსურ მდგომარეობას. იგი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებსა და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას ხელშეკრულებებით განსაზღვრულ პირობებს.

ირაკლი შავიშვილი,
დირექტორი, აუდიტორი

203850243

შპს ლიბო აუდიტი — Libo-Auditi Ltd.

April 23, 2004

Conclusion of the Audit Firm

This conclusion is prepared by Libo-Audit ltd., which carries out auditing activities based on the license zNo.188 issued on 28 May 2000 by the Council on Auditing Activities of the Parliament of Georgia.

Auditor Irakli Shavishvili audited the annual balance sheet and financial statement of the Fund "Civil Society Institute" for 2003. Auditor Shavishvili obtained the auditing qualification certificate zNo.3/286 on 25 October 2003 as granted by the Council on Auditing Activities of the Parliament of Georgia.

The management of the Fund is responsible for authenticity and completeness of the presented documents. We are required to express our opinion on the consistency of these documents with the legislation and standards currently in force.

While being guided by the Law of Georgia on Auditing Activities, we checked the completeness and accuracy of the financial statement submitted by the Fund management, their consistency with the current legislation and normative acts as well as with the accounting principles. The inspection was based on primary documents, accrual transaction, calculations and other data used for preparing the financial statement.

To our opinion, the presented statement is transparent and does not include any deficiency that could affect this statement in any way. Each transaction is consistent with the accounting principles and transactional objective in terms of both contents and formality. During this period, the Fund has fulfilled all the liabilities to both the state and business partners.

Therefore, we are fully content to conclude the following: the presented statement faultlessly demonstrates the financial position of the Fund "Civil Society Institute". It is consistent with the current legislation, accounting principles and the terms set in agreements with business partners.

Irakli Shavishvili
Director, Auditor